საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.ქობულეთი 30 ივნისი 2010 წელი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-59

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საპრემიო კომისიის შექმნისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით 2010 წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე პრემიების გაცემა უნდა განხორციელდეს დამტკიცებული შესაბამისი ასიგნების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 33 მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის, „ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2009 წლის 31 დეკემბრის №-26 დადგენილების 13-ე მუხლის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გამოყოფილი შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნების ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა ყოველთვიური პრემიის ოდენობის კოლეგიურობისა და სამართლიანობის პრინციპით განსაზღვრის მიზნით:

1. შეიქმნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში – საკრებულო) თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საპრემიო კომისია (შემდგომში – კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ელგუჯა ბაგრატიონი - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) ჯანსულ ჯინჭარაძე – საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გ) თენგიზ ნოღაიდელი - საკრებულოს აპარატის უფროსი;

დ) სოფიო ჯინჭარაძე - საკრებულოს აპარატის მთავარი სპეციალისტი საოქმო საკითხებში (კომისიის მდივანი);

2. კომისიამ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის გამოყოფილი შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნების (მუშა-მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება) ფარგლებში ყოველთვიურად, კოლეგიურობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით უზრუნველყოს საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე გასაცემი პრემიის ოდენობის გაანგარიშება, განსაზღვრა და დასამტკიცებლად საკრებულოს თავმჯდომარისათვის წარდგენა.

3. კომისიამ ინდივიდუალურად განიხილოს და პრემიის ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს საკრებულოს თითოეული თანამდებობის პირისა და აპარატის საჯარო მოსამსახურის მიერ გაწეული სამსახურებრივი საქმიანობის ხარისხი, ნაყოფიერება და ზეგანაკვეთური მუშაობა, აგრეთვე მასზე დაკისრებული ამოცანების სირთულე, მნიშვნელობა და პასუხისმგებლობის რისკი.

4. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს სხდომების მეშვეობით. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა თუ მას ესწრება კომისიის 5 წევრი მაინც. კომისია გადაწყვეტილებას ღებულობს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც. კომისიის გადაწყვეტილება გამოიხატება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს გადაწყვეტილების მომხრე, კომისიის ყველა წევრი. კომისიის გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების თანახმად მომზადებული შესაბამისი ბრძანების პროექტი ყოველთვიურად, მიმდინარე თვის არაუგვიანეს 20 რიცხვამდე წარედგინება საკრებულოს

თავმჯდომარეს, რომელიც 3 სამუშაო დღის ვადაში ბრძანებით ამტკიცებს კომისიის გადაწყვეტილებას.

6. კომისიის ოქმს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და საქმისწარმოების ერთიანი წესების შესაბამისად აწარმოებს კომისიის მდივანი.

7. პრემიების განსაზღვრისა და გაცემის თაობაზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებულ კომისიის გადაწყვეტილებას დადგენილი წესით აღასრულებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახური.

8. განკარგულება ძალაშია 2010 წლის 1 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე